ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N3.

თარიღი: 18.04.2022 წ.

დადგენილება N7.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N41.

თავი I. ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ეთიკის კოდექსი წარმოადგენს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ეთიკური პრინციპების, ღირებულებებისა და ქცევის ფორმულირებას. კოდექსი მიზნად ისახავს დაეხმაროს უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს იმ ეთიკური საკითხების გადაჭრასა და დადგენაში, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას მათი მუშაობისა თუ სწავლის პერიოდში;

1.2. უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაემორჩილოს საქართველოს კანონმდებლობას, წინამდებარე ეთიკის კოდექსს და უნივერსიტეტში მოქმედ სამართლებრივ მდგენელებს;

1.3. უნივერსიტეტის თანამშრომლებმა პატივი უნდა სცენ ერთმანეთის ინტელექტუალურ საკუთრებას და აღიარონ თითოეული სტუდენტის უფლება - მიიღოს განათლება ძალადობის, დისკრიმინაციისა და დაშინებისგან თავისუფალ გარემოში. პერსონალი და სტუდენტები ასევე თავისუფალნი არიან თავიანთი რელიგიური მრწამსის არჩევაში, თუმცა ვალდებულნი არიან პატივი სცენ სხვის განსხვავებულ შეხედულებებსაც. უნივერსიტეტში დაუშვებელია ეთნიკურ და რელიგიურ თემატიკაზე კონფლიქტური სიტუაციების შექმნა.

მუხლი 2. უნივერსიტეტის პერსონალის ქცევის წესები და ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები

2.1. უნივერსიტეტის პერსონალი, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას, თავის საქმიანობას უნდა წარმართავდეს კეთილსინდისიერების, პატიოსნებისა და ეთიკის მაღალი სტანდარტების შესაბამისად. იგი ვალდებულია თავისი პროფესიული და თანამდებობრივი მოვალეობებიდან გამომდინარე დაიცვას ეთიკური ქცევის პრინციპები;

2.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია სისტემატიურად იღწვოდეს პედაგოგიური და პროფესიული დონის ასამაღლებლად. ამასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეკისრებათ მოვალეობა აქტიური მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის საზოგადოებრივ, თუ სასწავლო - სამეცნიერო საქმიანობაშ;

2.3. უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია თავიდან აიცილოს ან შესაბამისი რეაგირებით შეხვდეს ისეთ სიტუაციებს, რომლებმაც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ჩრდილი მიაყენოს უნივერსიტეტის რეპუტაციას. ასეთ სიტუაციებად განიხილება სტუდენტებთან, კოლეგებთან, უნივერსიტეტის თანამშრომლებთან და სხვა პირებთან კონფლიქტური, დაძაბული და არაჯანსაღი ურთიერთობები, სხვათა მიმართ უპატივცემულობა და ცინიკური დამოკიდებულება, დაძაბული, ნეგატიური ემოციური ფონის შექმნა და ა.შ;

2.4. უნივერსიტეტის პერსონალმა არ უნდა მოითხოვოს/მიიღოს საჩუქარი ან თანხა და არ უნდა წაახალისოს ვინმე ასეთ ქმედებაზე, თუკი ეს უკავშირდება მათი მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას;

2.5. საკუთარი ცოდნისა და უნარ - ჩვევების მუდმივად განვითარება უნივერსიტეტის მთელი პერსონალის მოვალეობაა. ისინი გამუდმებით უნდა ცდილობდნენ აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაციის ხარისხი;

2.6. უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას, გამოიყენოს ისინი დანიშნულებისამებრ და დაიცვას უსაფრთხოების ზომები.

მუხლი 3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ქცევის წესები და ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები

3.1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოვალეობაა უნივერსიტეტში შექმნას სასწავლო სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი გარემო. ამ მიზნით ისინი ვალდებულნი არიან:

- დაემორჩილონ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და მოქმედ კანონმდებლობას;
- ეფექტურად გამოიყენონ უნივერსიტეტის ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები;
- არ გაამჟღავნონ პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა.

მუხლი 4. უნივერსიტეტის სტუდენტების ქცევის წესები და ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები

4.1. სტუდენტის მოვალეობაა პატივი სცეს უნივერსიტეტს, სადაც იგი ცოდნას ეუფლება. ისწავლოს, მონაწილეობა მიიღოს ჩატარებულ კვლევებში, დაიცვას ეთიკის კოდექსი და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ავტორიტეტის ამაღლებას;

სტუდენტი ვალდებულია:

- პატივი სცეს უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენლებსა და სხვა სტუდენტებს არ მიაყენოს შეურაცხყოფა და არ განახორციელოს მათ მიმართ სხვა ძალადობრივი ქმედებები;
- უნივერსიტეტში იკრძალება იარაღის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების შეტანა და მოხმარება. აკრძალულია აზარტული თამაშები, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არამართლზომიერი ქმედება;

- პირადი სარგებლის სანაცვლოდ, პერსონალის წარმომადგენლებს არ შესთავაზოს ან მოსთხოვოს რაიმე სახის სარგებელი.

4.2. პლაგიატის აკრძალვა, კერძოდ:

- გადაიწეროს სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოიყენოს სხვა სახის დამხმარე მასალა, რომელიც ლექტორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;
- სხვა სტუდენტის ნაცვლად ჩააბაროს გამოცდა ან სთხოვოს სხვა პირს მის მაგივრად გამოცდის ჩაბარება;
- სხვა პირის ნამუშევარი წარმოაჩინოს როგორც საკუთარი;
- შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე მოახდინოს სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირება;
- მოიპოვოს და გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია გამოცდის შესახებ;
- მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლოს, გაანადგუროს ან შეცვალოს სხვა სტუდენტის ნამუშევარი;
- ხელი შეუშალოს სხვა სტუდენტებს სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსებით სარგებლობის დამალვით, მართლსაწინააღმდეგო დაუფლებით ან განადგურებით;
- ხელი შეუწყოს სხვა სტუდენტს აკადემიურ სიყალბეში;
- მართლსაწინააღმდეგოდ გამოიყენოს ან გააყალბოს კვლევითი სამუშაოების ფაქტობრივი ინფორმაცია;
- სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა. დაიცვას უნივერსიტეტის დებულება და მისი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა წესები (მათ შორის ამ კოდექსით დადგენილი);

4.3. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ხელმძღვანელი უფლებამოსილია ერთხელ დაუბრუნოს ავტორს ნაშრომი და მისცეს რეკომენდაციები;

4.4. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო ვერსიაში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტს ერთმევა იმავე ნაშრომის გადამუშავების და წარდგენის უფლება. შესაბამისად, სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე და ფორმდება უარყოფითი სემესტრული შეფასება. სტუდენტს უფლება აქვს მომდევნო ორი წლის განმავლობაში შეასრულოს ახალი საბაკალავრო ნაშრომი. სტუდენტი ვალდებულია თავად დააფინანსოს საბაკალავრო ნაშრომის ხელახალი მომზადება;

4.5. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სტუდენტთა მხრიდან დისციპლინარული ნორმების დაცვას აკონტროლებს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლის დეკანი ან განსაკუთრებულ შემთხვევებში უნივერსიტეტის რექტორი. ამავე დროს დისციპლინის კონტროლი დელეგირებულია პერსონალზე და სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოებზე;

4.6. უნივერსიტეტის დებულების, ეთიკის კოდექსის ან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტის პერსონალი უფლებამოსილია დააყენოს დამრღვევი სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხი.

უნივერსიტეტის რექტორი კი უფლებამოსილია, განახორციელოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა დებულების დამრღვევი სტუდენტის მიმართ;

4.7. აუდიტორიაში სტუდენტის ყოფაქცევაზე პასუხისმგებელია სასწავლო კურსის ხელმძღვანელი. თუ სტუდენტი დაარღვევს წესრიგს ან კანონს და ამით ხელს შეუშლის ლექციის მსვლელობას, ლექტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს აუდიტორიის დატოვება. შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ლექციებზე დასწრების აკრძალვის უფლება აქვს მხოლოდ უნივერსიტეტის სკოლის დეკანს ან რექტორს.

თავი II. დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები

მუხლი 5. დისციპლინური წარმოება და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები

5.1. დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები განსაზღვრავს პერსონალისა და სტუდენტების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელის სახეებს, დისციპლინური დევნის დაწყების, დისციპლინური წარმოების განხორციელებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს.

5.2. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები

- მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა;
- უნივერსიტეტის დებულებით და სხვა ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;
- ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების დარღვევა;
- ნებისმიერი საქციელი, რომელიც შეიძლება ფორმალურად არ შეიცავს ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებს, მაგრამ იგი ეწინააღმდეგება ეთიკურ - ზნეობრივ ნორმებს და სხვა დადგენილ მოთხოვნებს.

5.3. დისციპლინური წარმოების ვადები

- პირს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური დარღვევის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 2 (ორი) წელი, ხოლო დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 3 (სამი) თვე;
- დისციპლინური საბჭოს მიერ საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვიტის ვადაა განცხადების/საჩივრის მიღებიდან ერთი (1თვე), ხოლო საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისა კი - დისციპლინური დევნის აღძვრიდან 1 (ერთი) თვე;

- პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საქმის განხილვა შეჩერებული ან გადადებულია, არ ჩაითვლება დებულებით განსაზღვრული საქმისწარმოების საერთო ვადაში.

5.4. დისციპლინური სახდელის სახეები

აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

- შენიშვნა;
- საყვედური;
- მკაცრი საყვედური;
- სამსახურიდან დათხოვნა;
- ერთჯერადად შრომის თვიური ანაზღაურების 20 % -ის დაკავება.

სტუდენტებისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

- შენიშვნა;
- საყვედური;
- მკაცრი საყვედური;
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

მუხლი 6. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოები და მათი უფლებამოსილებანი

6.1. უნივერსიტეტში ეთიკის კოდექსის შესრულება და დისციპლინის მონიტორინგი, ასევე დისციპლინური წარმოება ხორციელდება დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოს (შემდგომში დისციპლინური საბჭო) და სათანადო უფლებამოსილების მქონე უნივერსიტეტის სხვა სამსახურების მიერ;

6.2. დისციპლინური საბჭო არის უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებიდან - სკოლებიდან, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან, ბიბლიოთეკიდან, სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელი/საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა საბჭოს პირველ სხდომაზე, წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით.

6.3. დისციპლინურ საბჭოს გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები:

- მიიღოს და შეისწავლოს შემოსული ინფორმაცია (განცხადება/საჩივარი);
- შეამოწმოს დისციპლინური დევნის აღძვრისათვის ამ დებულებით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები;

- განსაზღვროს, უნდა აღიძრას თუ არა დისციპლინური დევნა. ამისათვის დისციპლინურმა საბჭომ უნდა ჩამოართვას ახსნა - განარტებები განცხადება/საჩივრის ავტორს და პირს, რომლის წინააღმდეგაც შემოსულია საჩივარი. დისციპლინურ საბჭოს შეუძლია გაესაუბროს მხარეს და მოითხოვოს ინფორმაციის დაზუსტება, დოკუმენტების და შესაბამისი მასალების წარდგენა. მან უნდა გაითვალისწინოს შემოსული შუამდგომლობები და დამატებითი ახსნა - განმარტებები. ინფორმაციის ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში, ის გახდება დისციპლინური დევნის განხორციელების საფუძველი;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური დევნის) არაღძვრის შემთხვევაში, მომჩივანს გადასცეს დასაბუთებული გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ;
- განახორციელოს დისციპლინური დევნა, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 7. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი

7.1. დისციპლინური წარმოების დაწყება შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის, სენატის, უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის, სკოლის დეკანის, სკოლის საბჭოს, სტუდენტური თვითმმართველობის, დისციპლინური საბჭოს, უნივერსიტეტის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა სამსახურის, პერსონალის, სტუდენტის, აგრეთვე იმ პირის მოტივირებული განცხადება/საჩივრის საფუძველზე, რომელსაც მიაჩნია, რომ პერსონალის ან სტუდენტის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები;

7.2. საჩივრის ავტორი/დაინტერესებული პირი დისციპლინური წარმოების დაწყების მოთხოვნით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს;

7.3. რექტორის სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია რომელსაც გადაეცემა საჩივრის ავტორის მიერ ჩაბარებული დოკუმენტაცია. დისციპლინური კომისია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის დაწყების ან დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 8. განცხადება/საჩივრის განხილვა და წარმოებაში მიღება

8.1. დისციპლინურმა საბჭომ, საჩივრის ან განცხადების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში, უნდა შეისწავლოს საქმის მასალები, მიიღოს გადაწყვეტილება, არსებობს თუ არა დისციპლინური დევნის აღძვრის საკმარისი საფუძველი და გამოიტანოს გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის, ან დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ.

8.2. არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, ან უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება თუ:

- საჩივარი/განცხადება ან შეტყობინება არ აკმაყოფილებს დასაშვებობის პირობებს;
- საჩივარი/განცხადება ან შეტყობინება ინფორმაციის სისწორის შემთხვევაშიც კი არ იძლევა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს;
- ვადები დისციპლინური დევნის ან დისციპლინური სახდელის დაწესებისათვის ამოიწურა;
- მოკვლეული მასალები არ იძლევა საფუძველს დისციპლინური დევნის აღძვრისათვის;
- შემოწმებული მასალები მიუთითებს, რომ პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული;
- განცხადება/საჩივარი შემოსულია პირზე, რომელიც ამჟამად აღარ არის უნივერსიტეტის პერსონალი ან სტუდენტი;
- თუ საჩივრის/განცხადების ავტორი უარს იტყვის საჩივარზე, დისციპლინური საბჭო უფლებამოსილია შეწყვიტოს ან მოტივირებული დასაბუთებით გააგრძელოს დისციპლინური დევნა;
- დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში საბჭო გადასცემს მომჩივანს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 9. დისციპლინური წარმოების შეჩერება და გადადება

9.1. დისციპლინური წარმოების შეჩერება შესაძლებელია, თუ საქმის შესწავლის დროს მოპოვებული მასალა ცხადყოფს, რომ პირს შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის დანაშაული. ასეთ შემთხვევაში, საქმე უნდა წარიმართოს სათანადო კომპეტენციის მქონე ორგანოში.

9.2. დისციპლინური წარმოების გადადება შესაძლებელია, თუ განცხადების/საჩივრის შესწავლის პერიოდში წარმოიშვა ობიექტური სირთულეები ან დაბრკოლებები (პირის ავადმყოფობა ან სხვა შემთხვევები), რაც შეუძლებელს ხდის საქმის წარმოების გაგრძელებას.

9.3. დისციპლინური დევნის შეჩერების ან გადადების მიზეზის აღმოფხვრის მომენტიდან საქმის განხილვა განახლდება.

მუხლი 10. განცხადების/საჩივრის განხილვის წესი

10.1. დისციპლინურმა საბჭომ განცხადება/საჩივარი უნდა განიხილოს სამართლიანად და მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვით;

10.2. დისციპლინური ორგანოს სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური წარმოების მსვლელობაში მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალური. პირს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნას საჯარო სხდომაზე;

10.3. დისციპლინური საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე ან მისი რომელიმე წევრი, რომელიც აირჩევა დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით;

10.4. საჭიროების შემთხვევაში, სხდომაში მოანაწილეობის მისაღებად დისციპლინურმა საბჭომ უნდა მოიწვიოს მოწმეები და სხვა პირები, რომელთაც უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი;

10.5. დისციპლინური საბჭო ვალდებულია მოისმინოს დისციპლინური დამრღვევის ახსნა - განმარტება, რომელსაც უფლება აქვს დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობა მიიღოს, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. მხარეებს აქვთ უფლება სრულად წარმოადგინონ საკუთარი პოზიცია, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, წარმოადგინონ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებანი, აღძრან შუამდგომლობები დამატებითი მასალების, დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, აგრთვე ჩვენებების ჩამორთმევის მიზნით, მოითხოვონ სხვა პირების გამოცხადება და სხვა ამ მუხლით გაუთვალისწინებელი მოქმედებების განხორციელება;

10.6. დისციპლინურ საბჭოს უფლება აქვს, დაკითხოს მხარეები და სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირები, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, მასალები და ინფორმაცია, გამოიძახოს მოწმეები და განახორციელოს სხვა ქმედებები;

10.7. დისციპლინური საბჭოს სხდომაზე სხდომის მდივანი (რომელიც ირჩევა პირველ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით) ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი;

10.8. პირის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას დისციპლინური საბჭო იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. განსხვავებული აზრი ფორმდება წერილობით და თან ერთვის გადაწყვეტილებას.

მუხლი 11. დისციპლინური დამრღვევის მონაწილეობა საქმის განხილვაში

11.1. დისციპლინურმა ორგანომ შეიძლება მოითხოვოს დისციპლინური დამრღვევის განხილვის სხდომაზე დასწრება;

11.2. თუ პირი არ ცხადდება განხილვის სხდომებზე, სხდომა უნდა გადაიდოს 10 (ათი) დღით. თუ პირი მეორედ არ ცხადდება დანიშნულ სხდომაზე არასაპატიო მიზეზით, დისციპლინური საბჭო უფლებამოსილია, განიხილოს საქმე დისციპლინური დამრღვევის დასწრების გარეშე; აგრეთვე, სათანადო საფუძველის არსებობის

შემთხვევაში, გამოიტანოს გადაწყვეტილება და დააკისროს დისციპლინური სახდელი;

11.3. თუ პირი ვერ ცხადდება განხილვის დისციპლინური საბჭოს სხდომაზე მძიმე ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით, დისციპლინურმა საბჭომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა;

11.4. საქმის განხილვის შეჩერების მიზეზის ამოწურვის შემდეგ, დისციპლინური საბჭო განაახლებს საქმის განხილვას. საქმის განხილვის განახლების შემდეგ დამრღვევის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას.

მუხლი 12. დისციპლინური სახდელების დაკისრება

12.1. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას დისციპლინური საბჭო ვალდებულია გაითვალიწინოს დარღვევის (დარღვევების) სიმძიმე და ხარისხი, მიყენებული (ან შესაძლო) ზიანი. ასევე დარღვევის განმეორებითი ხასიათი. პირის პასუხისმგებლობა იზრდება დისციპლინური გადაცდომის სიმძიმისა და ხარისხის პროპორციულად ან ნორმების განმეორებითი დარღვევისას. თუ პირის მიერ დადასტურდა დისციპლინური დარღვევა და მას ადრე დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, დისციპლინურ ორგანოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება უფრო მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ;

12.2. დაუშვებელია სახდელის დაკისრება დარღვევისათვის, რომელზეც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება;

12.3. გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს შესაბამისი წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

მუხლი 13. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილება

13.1. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

- დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოს დასახელებას;
- დისციპლინური საბჭოს შემადგენლობას;
- საქმის განხილვის თარიღს;
- დისციპლინური დამრღვევის სახელს, გვარს და სტატუსს;
- დისციპლინური დევნის დაწყების და დისციპლინური სახდელის დაკისრების თარიღს;
- დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებს;
- დისციპლინური დარღვევის არსსა და დისციპლინური დამრღვევის შეპასუხებას;

- გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს;
- დისციპლინური დარღვევის სახესა და დაკისრებული დისციპლინური სახდელის სახეს;
- დისციპლინური წარმოების შეწყვეტის, საჩივრის/განცხადების უარყოფის, ან დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველს.

მუხლი 14. შეტყობინება დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შესახებ

14.1. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილების სათანადო წესით დამოწმებული ასლი ეგზავნება დისციპლინურ დამრღვევს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.2. გადაწყვეტილების ასლი უნდა დაერთოს დისციპლინური დამრღვევის პირად საქმეს.

მუხლი 15. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილება და გასაჩივრება.

15.1. დაკისრებული დისციპლინური პასუხიმგებლობის ზომა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული/თანაზომიერი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დისციპლინური კომისია სტუდენტისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღნიშნული პრინციპის დაცვით;

15.2. დისციპლინური დამრღვევი უფლებამოსილია გაასაჩივროს დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გადაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 16. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულება

16.1. დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებები ძალაში შედის გასაჩივრების ვადის გასვლისთანავე ან გასაჩივრების შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე;

16.2. უნივერსიტეტის რექტორი ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია აღასრულოს გადაწყვეტილება მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში. აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულება ხდება რექტორის ბრძანებით;

16.3. სტუდენტის მიმართ დისციპლინური საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულება ხდება უნივერსიტეტის სკოლის დეკანის მიერ, ხოლო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელის წარდგინებით და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 17. სახდელის მოქმედების ვადები

17.1. სახდელის სახეებია: შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური, მოქმედებს მხოლოდ გარკვეული ვადით, რომლის ამოწურვამდეც დისციპლინური დამრღვევი ითვლება დისციპლინურ სახდელშეფარდებულად;

17.2. თუ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში პირი არ ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას შენიშვნა ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, საყვედური - ექვსი თვის შემდეგ, მკაცრი საყვედური - ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 18. წახალისების სახეები

18.1. უნივერსიტეტის თანამშრომელთა წახალისება ხდება მოვალეობის კეთილსინდისიერად და სანიმუშოდ შესრულებისათვის, უნივერსიტეტში ხანგრძლივი და სამაგალითო მუშაობისათვის და პერსონალის შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

18.2. წახალისების სახეებია:

- პრემია;
- მატერიალური და არამატერიალური ჯილდოები;
- მადლობის გამოცხადება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება;
- სხვა წახალისების სახეები.

18.3. შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნას წახალისების რამდენიმე ფორმა;

18.4. წახალისება ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება მისი საჯაროობა.

თავი III. პლაგიატი

მუხლი 19. პლაგიატის პრევენციისა და აღმოჩენის მექანიზმები

19.1. უნივერსიტეტი აფუძნებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, პასუხისმგებლობით ეკიდება სხვათა ინტელექტუალური შრომისა და საავტორო უფლებების დაცვას. შესაბამისად, შემუშავებული აქვს პლაგიატისგან თავის არიდების პოლიტიკა;

19.2. უნივერსიტეტი პლაგიატად განიხილავს ყველა იმ შემთხვევას, სადაც ავტორები, გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად, ახდენენ სხვათა მოსაზრებების, იდეების, ვიდეო, აუდიო, ან სხვა ტიპის ვიზუალური მასალის და ა.შ საკუთარ ნაშრომებში სათანადო წესით დამოწმების გარეშე მოტანას;

19.3. პლაგიატისაგან თავის არიდების, მისი პრევენციის, გამოვლენის და ასევე, ამ კუთხით სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები:

ა. სასწავლო პროგრამების სილაბუსებში ჩადებულია შესაბამისი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების პროცესში სტუდეტთა ცნობიერების ამაღლებას - სხვათა ინტელექტუალური შრომის პატივისცემას და მათი ნააზრევის ან სხვა შემოქმედებითი და კვლევითი პროდუქტის საკუთარ კვლევებში ადეკვატური წესით დამოწმების საჭიროებას;

ბ. ბაკალავრიატის საფეხურზე ისწავლება შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსი (აკადემიური წერა), რომლის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ პლაგიატისგან თავის არიდების გზებს, ბიბლიოგრაფიული მონაცემებისა და წყაროების შესაბამისი სტილით დამოწმების (ციტირება, რეზიუმირება და პარაფრაზირება) წესებს;

გ. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური საბაკალავრო ნაშრომების გაფორმების ერთიანი უნიფიცირებული წესი, აღნიშნული წესები განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ - გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის;

დ. პლაგიატის გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტში შექმნილი ნაშრომები მოწმდება პლაგიატის დეტექციის პროგრამაში;

ე. პლაგიატის პროგრამაში ხდება თითოეული ნაშრომის სრული ვერსიის შემოწმება;

ვ. შემოწმებული ნაშრომები პლაგიატის დეტექციის პროგრამიდან შესაბამისი დასკვნით უბრუნდება უნივერსიტეტს;

ზ. დასკვნის პირველ გვერდზე ასახულია რამდენი პროცენტი მსგავსება გამოუვლინდა ნაშრომს, ხოლო შემდეგ გვერდებზე დეტალურად არის გაწერილი რომელი კონკრეტული წინადადება არის გადაკოპირებული;

თ. პლაგიატის არსებობა - არასებობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ნაშრომის ავტორი/ხელმძღვანელი.

ი. საბაკალავრო ნაშრომში 20% ზემოთ მსგავსების გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტი იხსნება საბაკალავრო ნაშრომის დაცვიდან.

მუხლი 20. პლაგიატისაგან თავის არიდების და გამოვლენის მექნიზმები

20.1. უნივერსიტეტი თავისი აკადემიური პერსონალისგან ითხოვს უნივერსიტეტის სახელით წარმოებული კვლევები განხორციელდეს კვლევითი კეთილსნდისიერების პრინციპების დაცვით. დაუშვებელია, საკუთარ კვლევებში სხვისი ნააზრევის, თეორიის, კვლევის, იდეის, აუდიო და ვიზუალური მასალის უნივერსიტეტის მიერ შემუშვებული დამოწმებისა და ციტირების წესების გარეშე გამოყენება;

20.2. აღნიშნულის პრევენციისათვის უნივერსიტეტი სარგებლობს კოლეგიალური შეფასების სისტემით:

ა. სტუდენტის შემთხვევაში საყვედურის გამოცხადება და მიღებული შეფასების განულება;

ბ. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - საყვედურის გამოცხადება, თუ ეს პლაგიატის პირველი შემთხვევაა, ხოლო განმეორებით შემთხვევაში - შრომითი ხელკშეკრულების შეწყვეტა.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 21. დასკვნითი დებულებები

21.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

21.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

21.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

21.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.